



სტაციონარული საბაგრო მონყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევის ინიციატივა, სავარაუდოდ, „პანორმა თბილისის“ პროექტს უკავშირდება

საქართველოს მთავრობამ, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, პარლამენტში -
ქ. კახიძის საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის
შესახებ" საქართველოს კანონის [პროექტი](#) წარადგინა.

წარმოდგენილი განცხადების მიზანს არ წარმოდგენს ახალი კანონის პროექტის სრული და
საფუძვლიანი შეფასება, თუმცა გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე,
რომელიც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ **კანონპროექტი მისი ასახვა
„პანორმა თბილისის“ პროექტს უნდა უკავშირდებოდეს.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



☐ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ ☐ საქართველოს კანონის დღეს მოქმედ [რედაქციაში](#) ჩამოთვლილია ყველა ის საფუძველი რა დროსაც, საკუთრების ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია) ხორციელდება. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონის ახალ რედაქციაში, მცირედი ცვლილებით პრაქტიკულად უკლებლივ არის გადმოტანილი ყველა ის საფუძველი, რა დროსაც შესაძლებელია საკუთრების ჩამორთმევა. ამასთან, აღნიშნულ სიას ემატება ახალი პუნქტი, კერძოდ საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელი ხდება თუ ეს სტაციონარული საბაგრო მონყობილობების დამონტაჟებისთვის საჭირო სამუშაოებს უკავშირდება.

მიუხედავად იმის, რომ კანონპროექტს მოცულობითი განმარტებითი ბარათის ახლავს თან, [ბარათში](#) არ არის აღნიშნული, თუ რით არის განპირობებული სტაციონარული საბაგრო მონყობილობების დამონტაჟების დროს საკუთრების ჩამორთმევის დაკანონება. **დაუსაბუთებლად, ყოველგვარი სათანადო არგუმენტაციის გარეშე, მეტად სპეციფიკური ინიციატივის შემუშავება (სტაციონარული საბაგრო მონყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევა) აჩენს კითხვებს, ხომ არ ემსახურება აღნიშნული კერძო ინტერესებს/პროექტებს, და არა ობიექტურ საზოგადო საჭიროებას**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანაინვესტირების ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პანორამა თბილისის ორი პროექტი - თავისუფლების მოედნის მიმდებარედ არსებული მშენებარე [ნაგებობა](#) და ე.წ. [სოლოლაკის მაღლობი](#) ☐ სწორედ საბაგრო გზით უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს. **შესაბამისად, საბაგრო მონყობილობების დამონტაჟებისთვის საჭირო სამუშაოები თბილისის ისტორიულ ნაწილში უნდა განხორციელდეს, რასაც შესაძლოა თან ახლდეს საკუთრების ჩამორთმევის საჭიროება.**

გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ, რომ ☐ თბილისის ☐ პროექტის სამივე სამშენებლო ლოკაცია ქალაქის ისტორიულ ნაწილში ხორციელდება. დადასტურებული ინფორმაციით, სამი სამშენებლო ლოკაციიდან ორი, ☐ მაღლობი ☐ და ☐ ბაღები ☐ თბილისის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაშია მოქცეული, რაც ამ ზონაში სამშენებლო სამუშაოებს კრძალავს. აღნიშნული სამშენებლო ნებართვები საიას თბილისის საქალაქო სასამართლოში აქვს გასაჩივრებული, რაზეც დღემდე მიმდინარეობს დავა.